

ლეველ გმირთა სახელი გმოსავთ,
ვთ სამშობლოს, მის დიად დროშას.
ჭოთა ქვეყნის ერთგულ გუშაგებს
ადების დღეს ხალხი გილოცავთ!
სსრკ
№ 4 თბილისი თებერვალი 1960

ეროვნული ბიბლიოთეკა



# შემოსავლიანი ქორწილი

## რეპორტაჟი ქობულეთიდან

— ყურადღება! ყურადღება! ლაპარაკობს ქობულეთი. ჩვენი რადიომიკროფონი დგას ქობულეთის რაიონის სოფელ ბობოყვათში, ჩვენს წინაა უსუფ რამიზის-ძე კონცელიძის კარმიდამო, მოზრდილი ლამაზი საცხოვრებელი სახლით. ოჯახში დიდი ფუსფუსია, ქორწილისათვის ემზადებიან. უსუფი თავის ქალიშვილ ბესირეს ათხოვებს.

სხვათა შორის, ამ ოჯახს ქორწილების დიდი და კარგი ტრადიცია აქვს. საკმარისია ვთქვათ, რომ უსუფის უფროსმა ვაჟმა ალიკომ ქორწილი ორჯერ გადაიხადა.

მაგრამ რაშია საქმე? რატომ მოუწყენიათ მასპინძლებს? ააა, გასაგებია! სია ვერ შეავსეს. ამ სტუმართმოყვარე ოჯახს თითო ადამიანი ძვირად ულირს. თუმცა, არაფერია,



მეხსიერების ოდნავი დაძაბვა და შორეულ ნათესავებისა და ნაცნობების გახსენებით სია თანდათან ივსება—ხალხის სიმრავლის გამო სუფრა ეზოში იშლება. იფ, იფ, იფ, რა სუფრაა! თვალს ვერ გადაუწვდენ, რა გინდა, სულო და გულო, დღეს რომ არ დაიკლა! ძროხა, ცხვარი, თხა. ქათმებსა და ბატებს თვლა აღარა აქვს. როგორც ბუღალტრული მონაცემებიდან ირკვევა, უსუფს ეს ქორწილი თხუთმეტი ათასი დაუჯდა, ვნახოთ რას მოუტანს ქორწილი! ეს, რა თქმა უნდა, ჩვენზე უფრო მასპინძლებსა და სასიძოს—მასწავლებელ ხალვაშს აინტერესებთ.

უკაცრავად, უკაცრავად, ჩვენ გადავუხვიეთ, ახლა გავყვეთ მოვლენათა მსვლელობას.

აი სტუმრები უკვე მოვიდნენ. გაიმართა ბანქოსა და ნარდის თამაში. თქვენ გესმით ხმა: «ბანკ»—ეს კოლმეურნეობის პარტბიუროს მდივანი მიხეილ მახარაძეა. ვაშა, მიხეილ! მან ამ შეჯიბრებაში დიდ მოგებას მიაღწია, უკვე ორი ათას მანეთზე მეტი ჩაილაგა ჯიბეებში.

კიდევ ცოტა და ქორწილიც დაიწყება, მასპინძლებს აშკარა ნერვიულობა ეტყობათ. ეს, რა თქმა უნდა, ბუნებრივია. დარჩებიან თუ არა მოგებულები ამ შეხვედრაში და რა ანგარიშით?

იწყება ქორწილი. თამადად თქვენთვის ცნობილი მიხეილ მახარაძეა, იგი შესანიშნავ გუნებაზეა.

ახლა უკვე მიმდინარეობს ქორწილის ერთ-ერთი საინტერესო ეტაპი—მილოცვები. დგება სია და ჩემოდანი ივსება ასიანებით, სია დასასრულს უახლოვდება, ჩემოდანი იხურება და კვლავ იხსნება სტუმრებისაგან იზოლირებულ ოთახში, სადაც მხოლოდ მასპინძლები და მათი ორი უახლოესი ნათესავია.

ათი... ათასი, ოცი ათასი, ოცდაათი ათასი... ორმოცდაათი ათასი. კარგია! საჩუქრები ხომ სათვალავში არაა. უსუფი აშკარად მოგებულია. მას კმაყოფილების ღიმილი დასთამაშებს.

ახლა კვლავ სუფრასთან ვართ, სტუმრებს უკვე ღვინო მორევიათ, ისინი საუბრობენ. მიგვაქვს მიკროფონი მათ პირდაპირ:

— ორი ლიტრი ღვინო არ დამიჯდა ოთუსბირი, ესაა საქმე?! რამდენი აილო, ნეტავ, ამ ქორწილში?

— ეგ არ ვიცი და ჩვენი კოლმეურნეობის საწყობის გამგემ ახმედ მახარაძემ ამას წინათ გამართულ ქორწილზე ოთხმოცდახუთი ათასი ჩაკეცა, ჭკვიანი კაცია ახმედი.

— ჭკუა მაქვსო, ტარასი გერგიანმა უნდა თქვას. ხომ იცნობ, კაცო, ქობულეთში რომ ცხოვრობს? თხუთმეტი წელი ჰყავს ცოლად ვარვარა ცერცვაძე და ახლა გადაიხადა ქორწილი—ქვეყანას საკუთარი ავტომანქანა აქვს და მე რაღა დავაშაveო. მე შენ გეტყვი, არ ეყოფა ქორწილში შემოსული ფული!

— ეგ კიდევ არაფერი, ამას წინათ ქელეხში...

ამხანაგო რადიომსმენელებო! საუბარმა ისეთი ინტიმური ხასიათი მიიღო, რომ იძულებული ვართ მიკროფონი მოვაცილოთ მოსაუბრეებს ახლა მოუსმინეთ სიმღერას. თქვენ ალბათ გიკვირთ, რომ ზოგიერთებს ხმაში ნალველი გარევია, მიზეზი სულ მცირეა, აბა წარმოიდგინეთ, რა დაუჯდათ მათ ეს ქორწილი.

ღრეობა დასასრულს უახლოვდება, სტუმრებსაც და მასპინძლებსაც დაღლილობა ეტყობათ. რაღა დაგიმალოთ და მეც დავიღალე. სათქმელიც თითქმის აღარაფერი გვრჩება, რადგან მოედანი თანდათან ცარიელდება.

ჩვენ კი თქვენთან ერთად ვუსურვოთ ახალდაქორწინებულებს ბედნიერება, გამრავლება. დაე, უსუფს, ბევრი შვილიშვილი გაეზარდოს, მაგრამ მათი ქორწილი არ გამხდარიყოს სარეპორტაჟო.

მაშ ასე, მეგობრებო, გადმოცემა დამთავრებულია, რეპორტაჟი მიჰყავდა **შოშია სხვაველს**



ჩვენს რესპუბლიკაში ბევრი სასტუმრო, განსაკუთრებით რაიონულ ცენტრებში, უყურადღებოდ არის მიტოვებული.

ნახ. ზ. ლეჟავასი



ადარ ვიცი, რომელ კუთხეში გადავიტანო საწოლი, რომ მთლად არ დავსველდე!

# ПР 14—12

ქ. თბილისის მილიციის საგამომძიებო განყოფილების უფრ. ოპერრწმუნებული ნოდარ ცინცაძე გაჭირვებაშია. საქმის შინაარსი ერთს ამბობს, თვითონ საქმე—მეორეს. გაორებას ცინცაძე ერთსულოვნებას არჩევს და მის კაბინეტში თავს იყრის ერთსულოვნად გამსჭვალული ხალხი, რის გამოც საქმეში ასეთ სურათებს ვღებულობთ:

## სურათი პირველი

**ცინცაძე:** ბრალდებულო ამირან ჩახავა! სცნობთ თავს დამნაშავედ?

**ჩახავა:** უფროსო, ბრალი არ მაქვს და ბრალდებული რად ვარ?

**მოწმე ბერაძე:** მართალია, ჩემო ბატონო, ეს კაცი. საკუთარი თვალით დავინახე, როგორ დაამუხრუჭა ჩახავამ მანქანა, როგორ დაეჯახა მარგალიტა სონიშვილი გაჩერებულ მანქანას და როგორ შეჭეჭყა მანქანის წინა მარჯვენა ფრთა. სონიშვილი ამბობდა, მძღოლს ბრალი არა აქვსო. ჩახავამ კი მისამართი მთხოვა და მივეცი.

**მოწმე კალისტრატე კიტოვანი:** მართლაც რომ მართალია, პატ. უფროსო. შემთხვევით შემთხვევის ადგილზე ვიდექი და დავინახე, რომ მანქანას სონიშვილი დაეჯახა, რომელიც ამბობდა, მძღოლს უშველეთ, არაფერი დაუშავდესო. ავარიის მორიგემ ლევან შარიფაშვილმაც ეს აღნიშნა თავის პატაკში.

**ცინცაძე:** (შარიფაშვილს) მართლა აღნიშნე?

**შარიფაშვილი:** მაშ რა მექნა? ორთოპედიული საავადმყოფოს მორიგე ექიმმა მითხრა, სონიშვილმა ახსნა-განმარტებას ხელი მოაწერა—მძღოლს ნუ ერჩით, დამნაშავე მე ვარ და თავს კარგად ვგრძნობო. ამიტომ ჩახავას ახალი ტალონი მივართვით და მშვიდობით გავისტუმრეთ. ექიმმა ისიც თქვა,—რენტგენის სურათი ახლა სველია და ვერაფერს გეტყვით. ისე, დაზარალებულს მარტო მუხლები აქვს დაკაწრულიო.

**ჩახავა:** რას ამბობ, კაცო, დაზარალებული მე ვარ, მანქანა გამიჭყლიტეს!

**ორთოპედ. საავად. მორიგე ექიმი მურმან გურგენიძე:** რაც აქ ითქვა, ყველაფერი მართალია. სონიშვილი ისე კარგად იყო, გვინდოდა ჩახავას მანქანით დუშეთში წაგვეყვანა, თავის სოფელში, მაგრამ არ ქნა და სახლში გავამგზავრე. მანამდე კი შარიფაშვილმა სონიშვილს ახსნა-განმარტება დააწერინა.

**შარიფაშვილი:** რაო? შენი ხელით არ დაწერე სონიშვილის მაგივრად?

**გურგენიძე:** გინდა შარში გამხვიო? შენ არ მიკარნახე?!

**შარიფაშვილი:** შენ რა, ჩემი მწერალი იყავი?

**ცინცაძე:** წყნარად, წყნარად! დაფიქრდა და ეს მოიფიქრა: «ჩახავამ მანქანის გაჩერება მოასწრო. მანქანას დაეჯახა სონიშვილი. იგი თავს კარგად გრძნობს. მანქანის ქვეშ მოყოლილი ადამიანი გაიძახის—ვაიმე, დედავ, მიშველეო, ეს ქალი კი გაიძახოდა, მძღოლს უშველეთო. ამას ადასტურებენ მოწმეები: კიტოვანი და ბერაძე. მაშასადამე,..» ცინცაძეს სურს დაასკვნას, ყველაფერი კარგად მოგვარებულაო, მაგრამ...

## სურათი მეორე

ჭიათურის ქ. № 13 სახლი. უმწეოდ დატოვებული სონიშვილი თავისი ოთახიდან სასწრაფო დახმარების მანქანით ქალაქის მეორე საავადმყოფოში გადაყავთ. ავადმყოფს პირისახე ზანდით აქვს შეხვეული, მარცხენა ფეხზე და მარჯვენა ხელზე თაბაშირი ადევს, ამიტომ იგი მარცხენა ხელით აწერს ხელს განცხადებას, რომელიც ცინცაძის კაბინეტში შეფრინდება და მეხივით სკდება.

ამონაწერი სონიშვილის განცხადებიდან: «...ჩემს საქმეში სიყალბეა. დამეჯახა ჩახავას მანქანა. ორთოპედიულ საავადმყოფოში არავითარ ახსნა-განმარტებაზე ხელი არ მომიწერია.»

**ცინცაძე:** ექსპერტი საჩქაროდ!

საჩქაროდ იგზავნება ორი მიმართვა ორი მისამართით: ერთი ორთოპედიულ საავადმყოფოსადმი, მეორე ექსპერტ-კალიგრაფისადმი. საჩქაროდვე მოდის ორი პასუხი: ერთი—ექ. გურგენიძის მცდარი ჩანაწერების მიხედვით შედგენილი სასამართლო-სამედიცინო ექსპერტ მ. ნინიკაშვილის დასკვნა—«დაზარალებულ სონიშვილს **გაბზარული** აქვს მარცხენა დიდი წვივის ძვალი და მარჯვენა ხელის სხივის ძვალი. დაზიანება ეკუთვნის ნაკლებად მძიმე ხარისხს.» მეორე დასკვნა ექსპერტ-კალიგრაფ გ. გელბახიანისა—«ხელმოწერა **შესაძლოა** ეკუთვნოდეს მ. სონიშვილს». ვიდრე ამ დასკვნებიდან ცინცაძე რაიმე დასკვნას გააკეთებდეს, საქმეს ემატება სტალინის სახ. რაიმილიციის თანამშრომლის კაპიტან აკაკი სამხარაძის ჩვენება:

«1959 წლის 14 ოქტომბერს, საღამოს 7 ს. და 30 წუთზე ლენინის ქუჩაზე № 69 სახლის წინ მძღოლი ამირან ჩახავა, მართავდა რა მანქანა «ვოლგას» № პრ—14—12-ს, დიდი სისწრაფით დაეჯახა მოქ. სონიშვილს და გადაისროლა ხუთ-ექვს მეტრზე. სონიშვილი დაეცა პირქვე და მოიტეხა ხელ-ფეხი. ჩახავა დავაკავე და დაზარალებული იმავე მანქანით მივიყვანე ორთოპედიულ საავადმყოფოში. გამოვიძახე ავარიის მორიგე შარიფაშვილი, ავუხსენი საქმის ვითარება და წამოვედი. მოქ. კალ. კიტოვანი ავარიის მომენტში მანქანაში იჯდა. შეგროვდა ხალხი, მაგრამ მძღოლი ჩახავა არც არავის დალაპარაკებია და არც ვინმეს მისამართი ჩაუწერია».

კაპიტან სამხარაძის ჩვენება საქმეს ყირაზე აყენებს. ირკვევა მრავალმნიშვნელოვანი გარემოებანი და...

**შეკითხვა მოქ. კიტოვანს:** თქვენს ახსნა-განმარტებაში 14 ოქტომბერს წერდით, რომ შემთხვევის მომენტში შემთხვევით იდექით ქუჩაში. თურმე, საკუთარ მანქანაში მჯდარხართ, ჩახავა კი თქვენი ცოლისძმაა და სწორედ მას დაუჯახებია მანქანა სონიშვილისათვის. რას გვიპასუხებთ?

**კიტოვანი** — (დიდხანს დუმს. მერე ამოილუღლუღებს) მანქანა ჩემი ცოლისაა, ხანდახან მათხოვებს ხოლმე. აი, ქარელის ადგილმრეწველობის ხილის წვენის საამქროს, სადაც ვმუშაობ, დიდ წვენს რომ გავადენ, მაშინ მეც ვიყიდი მანქანას.

**შეკითხვა ექსპერტ გ. გელბახიანს:** თუ დასკვნისათვის საკმაო მასალები არ გაგაჩნდათ, როგორღა დაასკვენით—ხელმოწერა **შესაძლოა** სონიშვილს ეკუთვნისო? ხომ შეიძლება თქვან—**შესაძლოა** არ ეკუთვნისო!

**გელბახიანი:** შესაძლოა თქვან.

**შეკითხვა შარიფაშვილს:** თქვენ დაასკვენით, რომ სონიშვილს მხოლოდ მუხლები ჰქონდა დაკაწრული. მეორე დღეს მოძრაობის მომწესრიგებელ განყოფილებას სადღეგრძელოსებური პატაკი მიართვით—ჩახავა მართალიაო. როგორ მოხდა ეს?

**შარიფაშვილი:** თავათ ჩახავამ და კიტოვანმა მითხრეს, მართალი ვართო. ესენი კი სიძე-ცოლისძმაყოფილან. რა ვიცოდი, თუ სიძე ცოლისძმას მიუდგებოდა და ცოლისძმა—სიძეს!

**შეკითხვა მახვე:** თქვენი მიზეზით 14 ოქტომბრის ავარიის საქმე 29 ოქტომბერს აღიძრა. საგზაო შემთხვევის ოქმში 15 დღის შემდეგ წერთ—ჩახავა ფხიზელი იყოო. ეს რამ მოგაფიქრათ?

**შარიფაშვილი:** განა ისეთს რას დალევდა ჩახავა 14 ოქტომბერს, რომ 29-მდე ვერ გამოფხიზლებულიყო!

კიტოვანისათვის, გელბახიანისა და შარიფაშვილისათვის ამგვარი შეკითხვით ჯერ არავის მიუმართავს, მაგრამ, იმედია, მიმართავენ.

## სურათი მესამე, მეოთხე, მეხუთე

**სახალხო სასამართლო:** მოსამართლე **თ. სვანიძე ასკვნის:** თუ დავუჯერებთ გამოძიებას, ჩახავას მანქანა თავათ სონიშვილს დაუმტვრევია, ამიტომ სონიშვილი უნდა მიეცეს პასუხისგებაში. ვინაიდან საქმე გვაქვს განსაკუთრებულ შემთხვევასთან, საქმე გადაეცეს პროკურატურას დამატებითი ძიებისათვის.

**ქალაქის პროკურატურა:** ტყუილია, არ დაუჯეროთ, პროტესტუემ!

**უმაღლესი სასამართლო:** არაფერი ტყუილი არ არის, პატივცემულო ქალაქის პროკურატურავ, სხვა რომ არაფერი, სონიშვილის სხეულის დაზიანების ხარისხიც ხელახლაა დასადგენი.

## სურათი მეექვსე

თბილისის ორჯონიკიძის სახ. რაიონის პროკურატურა. დამატებითი ძიება. გამომძიებელი გურამ ჯანჯღავა საქმეში აკერებს სასამართლო-სამედიცინო შემოწმების ახალ აქტს: «სონიშვილის დაზიანებანი ეკუთვნის მძიმე ხარისხს.»

**შეკითხვა ექ. გურგენიძეს:** ავადმყოფთა აღრიცხვის ჟურნალში თქვენ ჩაწერეთ, რომ სონიშვილს **გაბზარული** აქვს **მარჯვენა** ფეხის დიდი წვივის ძვალი და **მარჯვენა** ხელის სხივის ძვალი. რენტგენოგრამა უჩვენებს, რომ **მოტეხილია მარცხენა** ფეხი და **მარჯვენა** ხელი. რატომ არ გადაიტანეთ რენტგენოლოგის მონაცემები ჟურნალში, რა განსხვავებაა გაბზარვასა და მოტეხილობას შორის და მარცხენასა და მარჯვენას შორის?

**გურგენიძე:** (დუმს, გამოცდაზეც სწორედ ამ შეკითხვამ ჩაჭრა).

**შეკითხვა ექსპერტ ნინიკაშვილს:** თუ იცოდით რომ, როცა გურგენიძის მცდარ დასკვნას თქვენი მცდარი დასკვნა მიემატა, ამით ბრ. ჩახავას სასჯელი ჩამოაკლდა?

**ნინიკაშვილი:** რამდენი ვეხვეწე იმ შეჩვენებულ სონიშვილს, შენს სიცოცხლეში ერთი ტყუილი მაინც თქვი და ეს ექიმები გადაგვარჩინე-მეთქი!

**შეკითხვა მოწმე ბერაძეს:** თქვენს ადრინდელ ჩვენებაში საკუთარი ხელით წერთ, რომ შემთხვევის მომენტს შეესწარით და **საკუთარი** თვალით ნახეთ, რომ სონიშვილი შეასკდა მანქანას. ახლა ამბობთ, რომ არაფერი გინახავთ და, რაც ადრე აჩვენეთ, **სხვებისგან** შეიტყვეთ. სინამდვილეში 14 ოქტომბრის საღამოს თქვენ კოჯრის საავადმყოფოში მორიგეობდით. იქნებ ორეული გყავთ?

**ბერაძე:** (დუმს).

## სურათი საბოლოო

საბოლოო შედეგით საქმე პროკურატურიდან საბოლოო დასკვნისათვის ისევ სასამართლოში მიდის, საბოლოო დასკვნამდე კი ერთ დასკვნას გავაკეთებთ ცრუმოწმეთა საყურადღებოდ: **შუბი ხალთაში არ დაიმალება!** ჯერჯერობით კი ამირან ჩახავას კარგი ამინდი უდგას. პირვანდელი «გამოძიების» წყალობით მძღოლის მართვის მოწმობა ჯიბეში უდევს და სონიშვილის მიერ «დამტვრეულ» «ვოლგას» დააქროლებს.

იქროლოს, ვიდრე სხვა ქარი დაუბერავდეს.

ხელფეხმოტეხილი სონიშვილი კი ახლა სწავლობს სიარულს.

**ნ. ნუქრიძე**

**გ. ჯამბაკური**


ნახ. გ. ფირცხალავასი

— ხომ არ იცით, კუდებს რომელ მაღაზიაში ყიდიან?

## დღეს და ხვალ არა, ზეგ...

პოეტმა პოემა მიიტანა რედაქციაში. რედაქტორმა მოუბოდიშა: დღეს და ხვალ არა, ზეგ წავიკითხავ, თქვენ ნუ შეწუხდებით, ჩემს აზრს ტელეფონით მოგახსენებთო.

პოეტმა თავისთავს პატიმრობა გამოუცხადა და იობის მოთმინებით ელოდა ზარს. მაგრამ ამაოდ. მაშინ თვითონ დარეკა. ბედი ეწია, რედაქტორი შეხვდა:

— ო! გაგიმარჯოს, გაგიმარჯოს, არ დამვიწყებიხართ, გამოიარეთ, ზეგ გამოიარეთ.

ფრთები შეესხა ავტორს, მიფრინდა რედაქციაში.

— გუშინწინ წავიდა მივლინებაში, ერთ თვეში ჩამოვა. — მოახსენა მდივანმა.

გავიდა თვე. ექვსი თვე. წელიწადი. ავტორმა რედაქციის კარი აატალახა.

— არ არის.

— სახლშია, ისვენებს.

— სტამბაშია.

— ბაზარშია.

— მალე მოვა.

— ბებია მოუკვდა.

— კუჭი სტკივა.

— ცოლი ჰყავს ავად, — არ გამოელია მიზეზი მდივანს. რა ექნა? იფიქრა, იფიქრა და ალმურმა დასწვა, — იქნება დაჰკარგა, რცხვენია თქმა და მემალება. ერთადერთი ეგზემპლარი მაქვს, ხუმრობა საქმეა 127 გვერდის გადაბეჭდვა? არც აცია, არც აცხელა, მიიჭრა რედაქციაში. ამჯერად მდივანიც არ იყო. ფეხაკრეფით შეიპარა რედაქტორის ოთახში და რას ხედავს: მაგიდაზე დევს მისი პოემა. ხელუხლებელი, ფერი შეცვლია ქაღალდს მხოლოდ. იტაცა ჯიბეში.

გავიდა კიდევ ერთი კვირა... ძველი ნაცნობები თეატრში შეხვდნენ ერთმანეთს.

— ო! ეს შენა ხარ? როგორ მინდოდა შენი ნახვა. ყოჩაღ! ყოჩაღ! წუხელ წავიკითხე შენი პოემა, სულ უმნიშვნელო შენიშვნები მაქვს, გამოიარე, აუცილებლად დავბეჭდავ. დღეს და ხვალ არა მცალია, ზეგ კი სტამბაში გავგზავნი. — დაჰპირდა ავტორს რედაქტორი.

**გულიადა**




(იგავი)

ჩხიკვმა ახალ მაგიდით დაამშვენა ოთახი,
ქრიამულით შემოხვდნენ, გაახარა ოჯახი.
თუმც ეცადა, უჯრები ვერაფრით ვერ გაალო,
ოფლი მოსდის წურწურით, დაჯდა, პირი დაალო
მიეხმარა მეუღლე, შვილთა ჯარი მაშველი,
მაგრამ უჯრის გაღებას არ დაადგა საშველი.
პოდა, ჩვენი კოდალა, თავმჯდომარე არტელის
მოიწვიეს... ოთახში დადგა კორიანტელი.
მოიკრიბა ძალღონე, გაღება სურს გულითა,
სამჯერ გადაყირავდა უჯრის სახელურითა.
მაინც აქებს მაგიდას, მასპინძლები დაღალა,
ნისკარტიდან სისხლი სდის, თავი კარებს ახალა,
სწორედ უთქვამთ: »ყვავსაც ხომ მოსწონს თავის ბახალა!

* * *

ეს საწყენი იგავი ბევრ ჩვენთაგანს აღონებს,
რადგან არტელ «ავეჯის» ზოგ-ზოგ ნაწარმს აგონებს.

**ქ. გელათელი**

## სამართლიანი დირექტორი

კაცი კი არა, ოქროა კირილე: სხვა დირექტორებივით სულაც არ იბერება და ნაწილობრივ წარმოების საქმეებშიაც ერკვევა.

დანიშნეს თუ არა, «კირილე პოლიხრონოვიჩად» გაგვაცნო თავი.

სავარძელზე მივუთითეთ და...

— დაბრძანდით, ბატონო კირილე,—ვეუბნებით.

დაბრძანება ინება, მაგრამ ერთბაშად შეჭკრა შუბლი, წამოწითლდა, წამოყვითლდა, წამომწვანდა, ჭირის ოფლმა დაასხა.

— ცუდად ხომ არ გრძნობთ თავს, პატივცემულო კირილე?

— ბატონო კირილე, წყალი ხომ არ მოგართვათ?

— რა მოგივიდათ, ძვირფასო კირილე?

ბატონი კირილე მართლა ისე გახდა, რომ კინაღამ სასწრაფო დახმარებას გამოვუძახეთ. მოსვლა ვერ მოასწრო და უკვე გვეცლებოდა ხელიდან. ხუმრობა ხომ არ იყო. ჯერ ერთი ბრძანება რაა, ისიც არ გაეცა და უკვე მიპქონდა ჩვენი ჭირი, გაუფურჩქნავად უნდა ჩამქრალიყო მისი დირექტორული ნიჭი. უდროოდ უნდა გარდაცვლილიყო იგი და ისიც სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს.

მაგრამ არა, გეშველა, ამოიდგა ენა... მაგრამ რა ენა!

— „ბატონო", „ბატონო"... არ გავიგონო ეგ „ბატონო", ნუთუ არ იცით, რომ ბატონყმობა 1861 წელს გადავარდა რუსეთში, ჩვენში კი, თუ არა ვცდები, 1864 წელს. პოდა, ახლა, ამ ატომის საუკუნეში რა დროს „ბატონოს" ძახილია. ჩვენ კირილე პოლიხრონოვიჩი გახლავართ და კეთილინებეთ და ასეც მომმართეთ.

— ბოდიშს ვიხდით, კირილე პოლიხრამოვიჩ!

— გვაპატიეთ, კირილე პოლიხანოვიჩ!

— ნუ გვიწყენთ, კირილე პალნიხამოვიჩ!

კიდევ უფრო ჭიმრიზა კირილე და ისედაც გრძელი ცხვირი კიდევ უფრო დაუგრძელდა.

შევუდექით მისი სახელის და მამისსახელის გაზეპირებას. «კირილეს» კარგად ვიმახსოვრებდით, მაგრამ «პოლიხრონოვიჩის» დამახსოვრებას არ იქნა და არ დაადგა საშველი. რას იზამთ, ყველას ერთნაირი მეხსიერება რატომ უნდა ჰქონდეს და მისი მამისსახელი ხან «პოლიხანოვიჩი», ხან «პალიხაროვიჩი» და ხან «პამირხანოვიჩი» გამოდიოდა. რომ წყინდა, ვატყობდით, მაგრამ, თავს ზევით გზა არ იყო და ისიც, რა ექნა, ითმენდა. ჩვენც რა გვენაღვლებოდა, ბოლოს და ბოლოს, სახელისა და მამისსახელის ხსენებას როგორ დავამადლებდით.

ბოლოს სამართლიანმა დირექტორმაც იფიქრა, არ ეგონოთ მარტო ჩემს თავს ვცემდე პატივსო და ბრძანა: თანამშრომლებმა, უნდათ თუ არა, ერთიმეორეს სახელითა და მამისსახელით მიმართონო.

დირექტორის სიტყვა კანონია და ჩვენც მისი ბრძანება სიტყვის შეუბრუნებლად შევასრულეთ. ბატონობას და ქალბატონობას ერთის მოსმით მოვუღეთ ბოლო და სამაგიეროდ ავახმიანეთ:

— ძუკუ პამლეტოვიჩ...

— ნაპოლეონ ჯღარკუევიჩ...

— ილარიონ ზურღანოვიჩ...

— მადონა ალმასხანოვნა...

— ნელი ნიკოლაევნა...

— ნინა ეშმაკოვნა...

და ვართ ბედნიერად, არც დირექტორი წყრება და ჩვენც ერთი მეორის გენეალოგია ხუთი თითივით ვიცით.

კაცი კი არა, ოქროა კირილე.

**მ. ძარჩავა**

ხაშურის რაიონში ააშენეს თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი ღვინის მარანი, ხოლო ვენახის გაშენება ახლა მოაგონდათ.

ნახ. დონისა



— მშვენიერი მარანი ავაშენეთ, მაგრამ ყურძენი საიდან მოვიტანოთ?

— რა გვეჩქარება. ახლა ვენახს გავაშენებთ და 3-4 წელიწადში ყურძენიც გვექნება.

## მარილი

ნაცნობმა იუმორისტმა შემომჩივლა:

— თავი უნდა გავანებო გაზეთში თანამშრომლობას. რარიგ მიკროსკოპული მოთხრობაც არ უნდა წარვადგინო, მაინც ამოკლებენ; თანაც ისე, რომ მთელი მარილი იკარგება. ვინ მოთვლის, რამდენი ღამე გამითენებია ლაკონური გამოთქმების ძებნაში. მაგრამ რად გინდა. უგულო ყასბები ხშირად ისეთ რამეს მიიჩნევენ ზედმეტად, რომ პირდაპირ შიგნეული გეთუთქება.

— შენც ნუ ცდილობ აზრის ლაკონურად გამოხატვას,—ვურჩიე მე,—წერე ხელგაშლილად, იხმარე რაც შეიძლება მეტი სინონიმური გამოთქმა, ზოგჯერ განგებ ჩაურთე ტექსტში ისეთი სიტყვები, რომელნიც თვითონვე მიგაჩნია ზედმეტად. სულ ერთია, ამოაგდებენ და იმას დაბეჭდავენ, რაც აუცილებელია; ასე რომ, მარილი მაინც დარჩება...

რამდენიმე ხნის შემდეგ ნაცნობმა იუმორისტმა კვლავ მომაკითხა და ცხვირწინ უსიტყვოდ გამიშალა გაზეთი, რომელშიაც ახალი მინიატურა იყო დაბეჭდილი:

### „გამოტყდა, ანუ ზოგი ჭირი მარგებელია"

ეს გახლდათ სათაური, რომლის ქვემოთაც შემდეგი წავიკითხე:

«ოფიციანტმა წაიბორძიკ-წაიფორხილა და კლიენტს უნებლიედ მუხლზე გადაავლო წვნიანი კერძი.

— დიდუ! დიდუ! დიდუ!—აღმოხდა აღშფოთებულ, გამწყრალ, პირგამეხებულ კლიენტს,—ქე არ გამიოხრა, გამიფუჭა, გამიპარტახა ამ უნდილმა დოყლაპიამ ახალთახალი ტანსაცმელი: «მაკინტოში» და პიჯაკ-შარვალი!

— ნუ გეშინია, ლაქა ადვილად ამოვა,—დაამშვიდა ოფიციანტმა.—კერძი უცხიმო და უზეთოა».

— როგორ? არ შეამოკლეს?!—შევძახე მე, საშინლად გულნატკენმა იმით, რომ ჩემი ვარაუდი არ გამართლდა.

— როგორ არა, შეამოკლეს,—მწარე ღიმილით მიპასუხა მწერალმა და გადმომცა ხელთნაწერი. აი ისიც:

«წამოცდა, გამოტყდა, წამორომშა ანუ ზოგი ჭირი მარგებელია»

«ოფიციანტმა წაიბორძიკ-წაიფორხილ-წაიბარბაც-წაიტორტმანა და კლიენტს უნებლიედ მუხლზე გადაავლო, გადაასხა, გადაადინა ბორშად წოდებული წვნიანი კერძი.

— დიდუ! დიდუ! დიდუ! დიდუ! დიდუ! დიდუ!—აღმოხდა აღშფოთებულ, გამწყრალ, გაჯავრებულ, გაბრაზებულ, განრისხებულ, პირგამეხებულ კლიენტს:—ქე არ გამიოხრა, გამიფუჭა, გამიპარტახა, დამისვარა, დამილაქავა ამ უნდილმა, ბრიყვმა, რეგვენმა, დოყლაპიამ ახალთახალი ტანსაცმელი: გაბარდინის «მაკინტოში», ბოსტონის ჟილეტი და პიჯაკ-შარვალი!

— ნუ გეშინია, ლაქა ადვილად ამოვა,—დაამშვიდა ოფიციანტმა,—კერძი უქონო, უზეთო, უერბოო და უკარაქოა».

რაღა მეთქმოდა, ტექსტი მართლაც საფუძვლიანად იყო შემცირებული... და შიგ საკმაო მარილიც დაეტოვებინათ

**გ. შარაშიძე**

სასწრაფო დახმარების სადგურები მეტწილად დაკომპლექტებულია დაბალი კვალიფიკაციის ექიმებით.

ნახ. ზ. ლეჟავასი



— ბატონო ექიმო, ავადმყოფი მოიყვანეს, რომელსაც ფეხის მოტეხილობა აქვს.

— მოიცადოს, არსად წავიდეს და ახლავე გავიგებ რა წამალი უნდა გამოვუწერო ასეთ შემთხვევაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახ. ა. კანდელაკისა

ზოგიერთი რაიონის კოლმეურნეობები სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის გეგმების შესრულების მიზნით პირუტყვს ყიდულობენ სხვაგან, გაუსუქებლად აბარებენ მას სახელმწიფოს, რის გამო დიდი ზარალი მოსდით.



— იოლად გამოვედით, თორემ ეს ნაყიდი პირუტყვი რომ გაგვესუქებინა, 200 მანქანაც არ გვეყოფოდა გადასაყვანად.

# ოჯახში



ოჯახი საკმაოდ ძველი და, ამავე დროს, ფართო მცნებაა, არავინ არ იცის ნამდვილად როდის წარმოიშვა პირველი ოჯახი, მაგრამ, სხვადასხვა სქესის ორი ადამიანის შეერთებით რომ წარმოიქმნა, ამაში ეჭვი არავის არ ეპარება. ერთად მე და კრომველა კონტრიძეც ვცხოვრობდით სტუდენტობის დროს, მაგრამ იმას ოჯახს კი არა საღორეს ეძახდნენ გოგოები...

საინტერესოა ამ სიტყვის ეტიმოლოგიაც, «ოჯახი» უნდა წარმოსდგებოდეს ზმნა—«ჯახი»-საგან ამას, თუ ოჯახი გაქვს, მტკიცება აღარ უნდა...

ოჯახი მინიმუმ ერთი კაცისაგან მაინც უნდა შედგებოდეს. ნაკლები არ შეიძლება. სასურველია ორი, კარგია სამი, ჩინებულია ოთხი წევრისაგან შემდგარი ოჯახი და არასასურველია ხუთი; თუ მეხუთე, რასაკვირველია, შვილი არ არის...

ჩვენი ოჯახი ბედნიერი გამონაკლისია სასურველ და არასასურველ ოჯახთა რიცხვიდან. ჩვენ სულ.. თუმცა ჩამოგითვლით და დაითვალეთ:

მამა—ოჯახის თავი

დედა—ოჯახის დედაბოძი

და—ოჯახის ყვავილი

მე—(აქ თავი შევიკავოთ...)

პატარა ძმა—ოჯახის სიხარული და...

... ბებია—მამის სიდედრი.

დილით, რასაკვირველია, დედა იღვიძებს პირველი და გაისმის მამის ბუზღუნი:

— ქალო, რაღა მაინცდამაინც მე უნდა დამეტაკო პირველად...

შემდეგ მე მაჭანჭყარებენ.

— ადე, შვილო, თორემ ძილში გაიპარები!

«ოჯახის ყვავილს» უფრო სათუთად აღვიძებენ:

— ლამარა, ადექი, გენაცვალოს დედა, თვალები არ დაგისივდეს!

პატარა ძმას კოცნით აღვიძებენ და ბებოს—არც კი აწუხებენ.

ეს იმის შემდეგ რაც ერთხელ მამამ წაიბუზღუნა:

— ისემც უქნია, ნურც გაუღვიძნიაო...

გვინდა, თუ არ გვინდა, ვდგებით და პირის დასაბანად ვემზადებით.

— კიდევ ეს ღილებაწყვეტილი ხალათი უნდა ჩავიცვა?—ბუზღუნებს მამა,—არ ჩავიცვამ!

— კაკ ნიბუდ, ჩაიცვამს!—ამშვიდებს ბებო დედას. ეს უკვე ჩემი და ჩემი პატივცემული დის გავლენაა.

— მამა, კიდევ არ დააკერებინე ჩემი ფეხსაცმელი?—წიწინებს ლამარა.

— მაგ «ფრანცუზსკი კაბლუკს» ფეხიდან არ იძრობ და ისე, ცხენი ხომ არ ხარ, რომ დაგჭედო...

გარედან მერძევე იძახის.

— გადი, ბიჭო, გამოართვი რძე,—ეს უკვე ჩემი მისამართითაა.

— ამ სველი თავით სად გავიდე?

— აბა მეორე შენ არა გაქვს და...

შემდეგ ვსაუზმობთ.

— ბიჭოს!—მიკვირს მე. ეს იმიტომ, რომ ჩემმა პატარა ძმამ ომარმა სამარილიდან მარილი დანის წვერით ამოიღო და კვერცხზე დაიყარა.

— ენაცვალოს დედა, ყველაფერი იცის...

— მართლა ისე კი არ არის საქმე,—ნასიამოვნებია მამაც,

— თითი მაქვს გაჭრილი და დამეწვება, თორემ მე ვიცი როგორც უნდა მარილის ამოღება,—აგვირგვინებს ომარი.

ახლა ბებო გადადის შეტევაზე:

— ბიჭო, საიდან მოათრიე ეს ლეკვი გუშინ? მთელი ღამე წკმუტუნით გული გააწყალა. რად გინდა? რის...

— გაიზრდება და «მრავალჟამიერს» იმღერებს,—დინჯად აწყვეტინებს ომარი.

მამა ძლივს ფარავს სიამოვნების ღიმილს.

— მამაილა!—ბუზღუნებს გულმოსული ბებო,—კვიცი გვარზე ხტის!

საუზმე გულთბილ ვითარებაში ტარდება. შემდეგ ყველა თავის საქმეზე მიდის. ოჯახში დედა და ბებო რჩებიან და არ აკლებენ ჭერს ხმაურს, არც აცივებენ კერიას...

საღამოთი ისევ ყველა ვიკრიბებით გულთბილ სადილზე.

შემდეგ, ვისაც სად უნდა, იქ მიდის.

დედა და მამა—კინოში ან თეატრში...

«ოჯახის ყვავილი»—ღმერთმა უწყის სად...

— თერთმეტ საათზე გვიან არ შემოადგა ფეხი სახლში!—ბრძანებს მამა.

— ვერ გამიგია ოჯახში ვარ თუ სანატორიუმში, მეშჩანი,—ტუჩს იწევს ლამარა.

— ვის უბედავ მაგას!—ქუხს მამა.

— პადუმაეშ, სიმონ!..

ლამარა მიდის.

შინ ბებო და ომარი რჩებიან.

იწყება ბებიას როლი შვილიშვილის აღზრდაში... და პირიქით.

მეც მივდივარ...

— სად?—რა გაეწყობა, გეტყვით.

აი, ასეთი ახალი ოჯახის შესაქმნელად თანაშემწეს უნდა შევხვდე და მოველაპარაკო... მეორე ნახევარსაც უწოდებენ ხოლმე...

— თქვენ, მეგობრებო, არ გინდათ ასეთი ოჯახი?

ზ. გემაზაშვილი



# კონკურსი

ჟურნალ „ნიანგის“ რედაქცია 1960 წლის 1 მარტიდან აცხადებს კონკურსს საუკეთესო სატირულ და იუმორისტულ ნაწარმოებებზე.

კონკურსზე წარმოდგენილი უნდა იქნას: სატირული და იუმორისტული მოთხრობები, პამფლეტები, ფელეტონები (დაწერილი პროზად ან ლექსად) თანამედროვე საშინაო და საერთაშორისო აქტუალურ თემებზე. მოცულობით არა უმეტეს მანქანაზე ორი ინტერვალით დაბეჭდილი 2½-3 გვერდისა და თემები კარიკატურისათვის.

საუკეთესო ნაწარმოებებზე გაიცემა პრემიები:

**ერთი პირველი პრემია**
1000 მანეთი

**ორი მეორე პრემია**
თითოეული 600 მანეთი

**სამი მესამე პრემია**
თითოეული 400 მანეთი

ორი პრემია თითოეული 500 მანეთის რაოდენობით გაიცემა კარიკატურის საუკეთესო თემისათვის.

მასალები კონკურსისათვის უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით: თბილისი, რუსთაველის პროსპექტი №42, ჟურნალ „ნიანგის“ რედაქციას, წარწერით: „კონკურსისათვის“.

კონკურსი დახურულია და მასალები იგზავნება დევიზით. ავტორის გვარი, სახელი, მამის სახელი და მისამართი წარმოდგენილი უნდა იქნას ცალკე კონვერტით.

კონკურსზე წარმოდგენილი მოწონებული მასალები თანდათანობით დაიბეჭდება ჟურნალში დევიზით და ავტორები მიიღებენ ჰონორარს ჩვეულებრივი წესით.

კონკურსის ჟიური—ჟურნალ „ნიანგის“ სარედაქციო კოლეგია. ჟურნალ „ნიანგის“ აგვისტოს თვის ნომერში გამოქვეყნდება კონკურსში გამარჯვებულ ავტორთა გვარები და მათ მიეცემათ დაწესებული პრემიები.

კონკურსზე მასალების წარმოდგენის უკანასკნელ ვადად დაწესებულია 1960 წლის 31 მაისი.

**ნიანგი**

101
26/II 60

რედაქტორი—ნიკო შველიძე.
სარედაქციო კოლეგია: აკ. ბელიაშვილი, ნ. დუმბაძე, ხ. კლდიაშვილი, ნ. მალაზონია, მ. ქარჩავა, ო. ჭელიძე.
საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა
თბილისი. სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“. Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Нианги“.
რედაქციის მისამართი: რუსთაველის გამზ. № 42. ტელეფონები: რედაქტორის—3-76-69, საერთო განყოფილების—3-10-49.
გამომც. № 4. ხელმოწ. დასაბ. 16/II-1960 წ. ქაღ. ზომა 70×108 1/8, 0,5 ნაბ. ფურც. 1,37. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 0,5. პირობით ფორმათა რაოდენობა 1, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ. პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. 14. შეკ. № 140 უე. 00546. ტირ. 40.000

ახლა ნატოს ფრანგი, ინგლისელი, ბელგიელი და სხვა ჯარისკაცები იძულებული არიან დაემორჩილონ დასავლეთგერმანელი გენერლის შპაიდელის ბრძანებებს. მაგრამ ფრანგები ხომ ამ გენერალს იცნობენ როგორც ჰიტლერის დაახლოებულ ოფიცერს, როგორც მეხუთე კოლონის ორგანიზატორს საფრანგეთის ოფიცერთა კორპუსის რიგებში, ხოლო შემდეგ ჰიტლერელთა იმ ჯარების შტაბის უფროსს, რომლებმაც 1940 წელს მოახდინეს საფრანგეთის ოკუპაცია. ინგლისელები კი მას იცნობენ, როგორც ინგლისზე ჰიტლერის ბომბდამშენების ტერორისტული თავდასხმების ერთ-ერთ ორგანიზატორს. და აი ახლა ეს გადარჩენილი ჰიტლერელი ევროპის ცენტრალურ ზონაში ნატოს სახმელეთო ჯარების სარდალია.

(ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებიდან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს IV სესიაზე)



გენერალი შპაიდელი ლებულობს ნატოს სახმელეთო ჯარების პარადს.

ნახ. გ. ლომიძისა